საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ი თ ი ს ა ბ ჭ ო

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №07-01/57

ქ. ბათუმი **17 დეკემბერი, 2019 წ.**

ბსუ-ს პერსონალის წახალისების ღონისძიების (ფულადი ჯილდოს) გამოყენების თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-10 მუხლის, ბსუ-ს შინაგანაწესის მე-14 მუხლის, „ბსუ-ს აკადემიური პერსონალის აფილირების, აკადემიური დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ" წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 12 სექტემბრის №3 გადაწყვეტილების, „2017-2018 სასწავლო წლიდან საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობების პირთა აფილირების განსაზღვრის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2017 წლის 31 აგვისტოს N01-08/66 ბრძანების, ,,2018 წლის ივლისში ჩატარებული ბსუ-ს აკადემიური პერსონალის შესარჩევი კონკურსის გამარჯვებულ კონკურსანტებთან შრომითი ხელშეკრულების გაფორმებისა და აფილირების განსაზღვრის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 13 აგვისტოს N01-08/101 ბრძანების, „ბსუ-ს აკადემიური პერსონალის ზოგიერთი წარმომადგენლის 2018-2019 სასწავლო წლიდან ბსუ-სთან აფილირების განსაზღვრის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 26 სექტემბრის №02-02/45 ბრძანების, ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 13 სექტემბრის N 01-12/144 ბრძანების და წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის საფუძველზე წარმომადგენლობითი საბჭომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა

1. წინასაახალწლოდ წახალისების მიზნით **2019 წლის დეკემბერში** გაიცეს **ერთჯერადი ფულადი ჯილდო** თანდართული წესის **(დანართი 1)** შესაბამისად:

ა) **ბსუ-ს პერსონალზე** (ადმინისტრაციული, აკადემიური, სამეცნიერო და დამხმარე);

ბ) **არანაკლებ 12 თვის განმავლობაში შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე** დასაქმებულ პირებზე (უწყვეტად ან მხოლოდ, არაუმეტეს ერთი თვის ვადით შრომითი ურთიერთობის წყვეტის შემთხვევაში).

2. **წინამდებარე გადაწყვეტილება არ ვრცელდება ბსუ-ში მოწვეულ პერსონალზე** (მოწვეული სპეციალისტი/მასწავლებელი/უფროსი მასწავლებელი, საგრანტო და სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებების საფუძველზე დასაქმებული პირები).
3. ეთხოვოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წინამდებარე გადაწყვეტილების მოთხოვნების გათვალისწინებით ბსუ-ს პერსონალზე (გარდა იმ პირებისა, რომელთაც 2019 წელს შეფარდებული აქვთ დისციპლინური სახდელი) ფულადი ჯილდოს (პრემია) გაცემის შესახებ ბრძანების გამოცემა არაუგვიანეს 2019 წლის 27 დეკემბრისა.
4. გადაწყვეტილება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, ფაკულტეტებს, ინსტიტუტებს და დამხმარე სტრუქტურულ ერთეულებს.
5. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,

პროფესორი **დ. ბარათაშვილი**

დანართი 1

ბსუ-ს პერსონალისათვის 2019 წლის დეკემბერში გასაცემი ფულადი ჯილდოს (პრემიის) გაცემის წესი

1. წინამდებარე წესი ადგენს 2019 წლის ბოლოს, წინასაახალწლოდ, ბსუ-ს პერსონალისათვის ერთჯერადი ფულადი ჯილდოს (შემდეგში ,,პრემიის“) გაცემის რეგულაციას.

2. **აკადემიური პერსონალის პრემირება განხორციელდეს შემდეგნაირად:**

ა) **,,ა“ კატეგორიის** აკადემიური დატვირთვის მქონე აკადემიური თანამდებობის პირების - საშტატო განრიგით გათვალისწინებული შესაბამისი თანამდებობრივი სარგოს **100 %-ის ოდენობით;**

ბ) **,,ა“ კატეგორიის** აკადემიური დატვირთვის მქონე აკადემიური თანამდებობის პირების, რომლებიც **ამავდროულად ანაზღაურებად შრომით საქმიანობას ეწევიან სხვა** დაწესებულებებში (წარმომადგენლობითი ორგანოები/საჯარო დაწესებულება/სამედიცინო დაწესებულება/საგანმანთლებლო დაწესებულება) - საშტატო განრიგით გათვალისწინებული შესაბამისი თანამდებობრივი სარგოს **50 %-ოდენობით;**

გ) ,,გ“ კატეგორიის აკადემიური დატვირთვის მქონე აკადემიური თანამდებობის პირების - საშტატო განრიგით გათვალისწინებული შესაბამისი თანამდებობრივი სარგოს **50 %-ის** ოდენობით;

დ) ბსუ-ს იმ აკადემიური თანამდებობის პირის, რომელსაც არა აქვს სრული აკადემიური დატვირთვა, 2019 წლის დეკემბრის მდგომარეობით მისი აკადემიური დატვირთვის (გარდა საათობრივი ანაზღაურების წესით შესასრულებელი სამუშაოს) გათვალისწინებით, შესაბამისი ყოველთვიური შრომის ანაზღაურების **(დეკემბრის ხელფასის)** 100%-ის ოდენობით;

3. ბსუ-ს **ადმინისტრაციული, დამხმარე და სამეცნიერო პერსონალის** წარმომადგენელზე (მათ შორის პირზე, რომელსაც ამავდროულად უკავია ბსუ-ს

აკადემიური თანამდებობა - **„ბ“ კატეგორიის** აკადემიური დატვირთვის მქონე პირი), **გაიცეს ერთჯერადი პრემია ბსუ-ს** საშტატო განრიგით **შესაბამისი ადმინისტრაციული, დამხმარე, სამეცნიერო თანამდებობისათვის** გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგოს **100 %-ის ოდენობით;**

4.. დამხმარე თანამდებობის პირზე, რომელსაც ამავდროულად უკავია სამეცნიერო თანამდებობა, გაიცეს პრემია უფრო მაღალი თანამდებობრივი სარგოს **100 %-ის ოდენობით.**

5. დამხმარე თანამდებობის პირებზე, რომლებიც შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე ასრულებენ სხვა დამხმარე თანამდებობისათვის განსაზღვრულ ფუნქცია-მოვალეობებს, გაიცეს პრემია ამ უკანასკნელი საშტატო ერთეულისათვის (მ/შ) განსაზღვრული შრომის ანაზღაურების 100%-ის ოდენობით, ხოლო თუკი მოვალეობის შემსრულებლად დანიშნულია **6 თვეზე ნაკლები ვადით**, პრემია გაიცეს ამ თანამდებობისათვის განსაზღვრული შრომის ანაზღაურების **70%-ის ოდენობით.**